

მოზილობა

ბნსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მოზილობით ბნსუ-ს და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (შემდგომში - უსდ)/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (შემდგომში - სდ) სტუდენტებისთვის/პროფესიული სტუდენტებისთვის. უმაღლესი და პროფესიული პროგრამების შემთხვევაში მოზილობა შესაძლებელია განხორციელდეს განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დამატების წინაპირობების და ბნსუ-ში მოქმედი წესების დაცვით. მოზილობის უფლება აქვს სტუდენტს/ პროფესიულ სტუდენტს, რომლის უსდ/სდ-ში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მოზილობის მომენტისათვის არის უსდ/ სდ-ს სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი, რომელსაც მოზილობის მომენტისათვის შეჩერებული აქვს უსდ/სდ-ს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსი, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში: მოზილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში 2-ჯერ მოზილობისთვის დადგენილ ვადებში (შიდა მოზილობა - ბნსუ-ს მიერ განსაზღვრულ ვადაში); მოზილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ, სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი; 2010 წლის 4 თებერვლამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან 10 წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია ისარგებლოს მოზილობის უფლებით, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ არის უსდ-ს წესდებით/შინაგანაწესით დადგენილი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი; პირი, რომელსაც გავლილი პროგრამის ნაწილი კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ეთვლება, განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად სახელმწიფოს მიერ აღიარებულ რეჟიმში სწავლის შეწყვეტიდან 10 წლის განმავლობაში; სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში მოზილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი, ასევე, რეგულირებადი სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში სტუდენტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ბაკალავრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში: ბნსუ-ში მოზილობა (მათ შორის, შიდამოზილობა) შეიძლება განხორციელდეს პროფესიული განათლების არანაკლები საფეხურის პროგრამაზე ბნსუ-ს მიერ მოზილობისთვის განსაზღვრულ ვადებში.

ბნსუ უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამაზე მოზილობით ჩარიცხვისათვის განსაზღვროს წინაპირობები და სტუდენტის/ პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტის აღიარების მიზნით მოითხოვოს იმ სასწავლო კურსების სილაბუსები, რომლებშიც სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს მიღებული აქვს კრედიტი. საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლით სტუდენტის/ პროფესიული სტუდენტის მიერ უკვე მიღწეული კომპეტენციების თავსებადობა ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამასთან დადგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბნსუ-ში არსებული, კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაციებით, ამ თავსებადობის არარსებობა შეიძლება იყოს მოზილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი. საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის დადგენის შემდეგ მიღებულ დასაბუთებულ დასკვნაში იქნება მითითებული არის თუ არა საგანმანათლებლო პროგრამები თავსებადი, რომელი სასწავლო კურსები და რამდენი კრედიტი არის აღიარებული, რომელი სემესტრიდან (აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან და სასწავლო კურსების წინაპირობებიდან გამომდინარე) არის შესაძლებელი სწავლის გაგრძელება. დასკვნა ეცნობა მოზილობის მსურველს, დასკვნის და სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის თანხმობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რექტორის მიერ გამოიცემა ჩარიცხვის ერთიანი ბრძანება ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ, ხოლო იმ უსდ/სდ-ს მიერ, საიდანაც გადადის სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი, გამოიცემა ბრძანება სხვა უსდ/სდ-ში ჩარიცხული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ და სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მიმართვის შემდეგ გაიცემა ბრძანებიდან ამონაწერი, საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც იგი ჩარიცხა და სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია. სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მოზილობის წესით მიმღებ უსდ/სდ-ში სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმა იმ შემთხვევაში, თუ მიმღებ უსდ/სდ-ში არ არის გამოცემული ჩარიცხვის შესახებ ბრძანება. ამ დროს სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს შეუძლია წერილობით მიმართოს მიმღებ უსდ/სდ-ს და უარი განაცხადოს მიმღებ უსდ/ სდ-ში სწავლის გაგრძელებაზე. თუ ჩარიცხვის შესახებ ბრძანება უკვე გამოცემულია, მაშინ სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი ითვლება მიმღები უსდ/სდ-ს სტუდენტად/პროფესიულ სტუდენტად და სწავლას ვეღარ განაგრძობს ძველ უსდ/სდ-ში.

მოზილობით ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე ვერ ჩარიცხება პირი, რომლის მიმართ მის უსდ/სდ-ში არსებობს ბრძანება სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების ჩადენის გამო სტატუსის შეწყვეტის შესახებ თუ სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია წინამდებარე შინაგანაწესთან (ბნსუ-ში მიიჩნევა ქვევის წესების უხეშ დარღვევად). კანონმდებლობით დადგენილი წესით მოზილობის უფლების მოპოვების შემდეგ მოზილობის მსურველი ვალდებულია ბნსუ-ს მიერ დადგენილ ვადებში (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი/შაბათი, 9⁰⁰ სთ-დან 18⁰⁰ სთ-მდე) მიმართოს ბნსუ-ს და გაიაროს პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის პირველი ეტაპი, რაც გულისხმობს სარეგისტრაციო განცხადების შევსებას და სავალდებულო დოკუმენტების წარმოდგენას. ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვების შემთხვევაში მოზილობის მსურველი ვალდებულია გაიაროს პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის მეორე ეტაპი - წარადგენს ბნსუ-ს მიერ დადგენილი ოდენობით სწავლის საფასურის (სრული თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) ან ბნსუ-ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურსა და დოკუმენტურად დადასტურებულ დაფინანსებას შორის არსებული სხვაობის (ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მოზილობის წესი

სავალდებულოდ წარსადგენი დოკუმენტები:

ჩარიცხვამდე:

- სარეგისტრაციო განცხადება (შეიცვება საბუთების ჩაბარების დროს);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა/ID ბარათი) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის დედანი);
- 4 ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (CD/DVD დისკზე);

- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა);
- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის და გამოცდების ეროვნული ცენტრის სერტიფიკატის (სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - ასევე, განათლების აღიარების დოკუმენტის) ასლი
- უსდ-ს მიერ გაცემული (ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული) - ამონაწერი უსდ-ში ჩარიცხვის ბრძანებიდან; ცნობა სტუდენტის სტატუსის და სწავლების სემესტრის შესახებ; ამონაწერი სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ბრძანებიდან (არსებობის შემთხვევაში, სტატუსის შეწყვეტის ბრძანების შემთხვევაში აუცილებელია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლის მითითება); ამონაწერი სასწავლო ბარათიდან შესწავლილი სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების, შესაბამისი კრედიტების და მიღებული შეფასებების მითითებით;
- საზღვაო დარგის საბაკალავრო პროგრამების შემთხვევაში - სპეციალური სამედიცინო შემოწმების ფორმა # IV-100/ა (დედანი).
- ბნსუ-ში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში - სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი (სრული/ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში).

ჩარიცხვის შემდეგ:

- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის და გამოცდების ეროვნული ცენტრის სერტიფიკატის (სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - ასევე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტის) დედანი;
- უსდ-ს მიერ გაცემული (ბეჭდით დამოწმებული) - სტუდენტის პირადი საქმე (პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია); მობილობის შედეგად სტატუსის შეწყვეტის ბრძანებიდან ამონაწერი.
- საზღვაო დარგის საბაკალავრო პროგრამების მობილობით გადმოსვლის შემთხვევაში - სპეციალური სამედიცინო შემოწმების ფორმა № IV-100/ა (დედანი).
(ბნსუ-ს სტუდენტები სამედიცინო შემოწმებას გადიან შპს „საგიტარიუსი-მეზღვართა სამედიცინო ცენტრი“. მისამართი: ბათუმი, გორგილადის ქ № 91)

დამატებითი მოთხოვნები:

- საზღვაო დარგის საბაკალავრო პროგრამების (საზღვაო ნავიგაცია, გემის მექანიკა) სტუდენტებისათვის სავალდებულოა საზღვაო ფორმის ტარება.
ზაფხულის ფორმა: თეთრი პერანგი გიუსით, თეთრი შარვალი, თეთრი ფეხსაცმელი.
ზამთრის ფორმა: ლურჯი ქურთუკი, თეთრი პერანგი, შავი შარვალი, ლურჯი პულოვერი, შავი ფეხსაცმელი.
(სამკვერვალო ატელიეს მისამართი: ზ.გამსახურდიას ქ. 49 მობ: 593316117

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესი

სავალდებულოდ წარსადგენი დოკუმენტები:

ჩარიცხვამდე:

- სარეგისტრაციო განცხადება (შეივსება საბუთების ჩაბარების დროს);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა/ID ბარათი) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის დედანი);
- 4 ფოტოსურათი 3x4 და და ელ. ვერსია (CD/DVD დისკზე);
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა);
- არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომის (სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - ასევე, განათლების აღიარების დოკუმენტის) ასლი;
- უსდ-ს მიერ გაცემული (ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული) - ამონაწერი უსდ-ში ჩარიცხვის ბრძანებიდან; ცნობა სტუდენტის სტატუსის და სწავლების სემესტრის შესახებ; ამონაწერი სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ბრძანებიდან (არსებობის შემთხვევაში, სტატუსის შეწყვეტის ბრძანების შემთხვევაში აუცილებელია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლის მითითება); ამონაწერი სასწავლო ბარათიდან შესწავლილი სასწავლო კურსების/კომპონენტების, შესაბამისი კრედიტების და მიღებული შეფასებების მითითებით;
- ბნსუ-ში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში - სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი (სრული/ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში).

ჩარიცხვის შემდეგ:

- არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის და დანართის (სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - ასევე, განათლების აღიარების დოკუმენტის) დედანი;
- უსდ-ს მიერ გაცემული (ბეჭდით დამოწმებული) - სტუდენტის პირადი საქმე (პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია); მობილობის შედეგად სტატუსის შეწყვეტის ბრძანებიდან ამონაწერი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესი

სავალდებულოდ წარსადგენი დოკუმენტები:

ჩარიცხვამდე:

- სარეგისტრაციო განცხადება (შეიცავს საბუთების ჩაბარების დროს);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა/ID ბარათი) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე – პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი);
- 4 ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (CD/DVD დისკზე);
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა);
- კანონმდებლობით პროფესიული პროგრამის კონკრეტული საფეხურისთვის დადგენილის შესაბამისად: 1) ზოგადი განათლების არანაკლებ საბაზო საფეხურის დამლევის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამლევის გარეშე, და წინა საფეხურის პროფესიული დიპლომის (წინა საფეხურის არსებობის შემთხვევაში) ასლი; ან 2) სრული ზოგადი განათლების დამლევის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა სრული ზოგადი განათლების მიღების გარეშე, და წინა საფეხურის (არსებობის შემთხვევაში) პროფესიული დიპლომის ასლი. სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - ასევე, წარსადგენია განათლების აღიარების დოკუმენტის ასლი;
- სდ-ს მიერ გაცემული (ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული) - ამონაწერი სდ-ში ჩარიცხვის ბრძანებიდან; ცნობა პროფესიული სტუდენტის სტატუსის და სწავლების სემესტრის (თუ სდ-ში პროფესიული პროგრამების სასწალო პროცესი დაყოფილია სემესტრებად) შესახებ; ამონაწერი პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ბრძანებიდან (არსებობის შემთხვევაში, სტატუსის შეწყვეტის ბრძანების შემთხვევაში - აუცილებელია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველის მითითება); ამონაწერი სასწავლო ბარათიდან შესწავლილი სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების, შესაბამისი კრედიტებისა და მიღებული შეფასებების მითითებით;
- საზღვაო დარგის პროფესიული პროგრამების შემთხვევაში - სპეციალური სამედიცინო შემოწმების ფორმა # IV-100/ა (დედანი);
- ბნსუ-ში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში - სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი (სრული/ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში).

ჩარიცხვის შემდეგ:

- კანონმდებლობით პროფესიული პროგრამის კონკრეტული საფეხურისთვის დადგენილის შესაბამისად: 1) ზოგადი განათლების არანაკლებ საბაზო საფეხურის დამლევის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის დედანი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამლევის გარეშე, და წინა საფეხურის პროფესიული დიპლომის (წინა საფეხურის არსებობის შემთხვევაში) დედანი; ან 2) სრული ზოგადი განათლების დამლევის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის დედანი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა სრული ზოგადი განათლების მიღების გარეშე, და წინა საფეხურის (არსებობის შემთხვევაში) პროფესიული დიპლომის დედანი. სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - ასევე, წარსადგენია განათლების აღიარების დოკუმენტის დედანი;
- სდ-ს მიერ გაცემული (ბეჭდით დამოწმებული) - პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე (პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია); მობილობის შედეგად სტატუსის შეწყვეტის ბრძანებიდან ამონაწერი. საზღვაო სფეროს პროფესიული პროგრამების შემთხვევაში - სპეციალური სამედიცინო შემოწმების ფორმა # IV-100/ა (დედანი). (ბნსუ-ს სტუდენტები სამედიცინო შემოწმებას გადაიან შპს „საგიტარიუსი-მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი“. მისამართი: ბათუმი, გორგილაძის ქ № 91)

დამატებითი მოთხოვნები:

- საზღვაო დარგის პროფესიული პროგრამების (გემზანის მეზღვაური, სამანქანე განყოფილების მეზღვაური, ელექტრიკოსი, მზარეული) სტუდენტებისათვის სავალდებულოა საზღვაო ფორმის ტარება. ზაფხულის ფორმა: თეთრი პერანგი გიუსით, თეთრი შარვალი, თეთრი ფეხსაცმელი. ზამთრის ფორმა: ლურჯი ქურთუკი, თეთრი პერანგი, შავი შარვალი, ლურჯი პულოვერი, შავი ფეხსაცმელი. (სამკერვალო ატელიეს მისამართი: ზ.გამსახურდიას ქ. 49 მობ: 593316117)

შიდა მობილობა

შიდა მობილობას ბნსუ-ს სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი ახორციელებს ბნსუ-შივე სწავლის გაგრძელებით მობილობისთვის დადგენილი პირობების დაცვით. ბნსუ-ში ბნსუ-ს მიერ დადგენილ ვადაში უმაღლესი განათლების პროგრამების შემთხვევაში შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში 2-ჯერ, პროფესიული პროგრამების შემთხვევაში - ბნსუ-ს გადაწყვეტილებისამებრ. შიდა მობილობის მიზნით ბნსუ-ს სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი სემესტრის დასრულებიდან მომდევნო სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დასრულებამდე ბნსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს მიმართავს წერილობითი განცხადებით (განიხილება ადმინისტრაციული რეგისტრაციის დასრულებამდე), რომლის საფუძველზეც ხდება შესწავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადგენა მის არჩეულ საგანმანათლებლო პროგრამასთან იმავე წესით, რაც გარე მობილობის შემთხვევაში. შიდა მობილობის შემთხვევაში სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი ვალდებულია გაიაროს პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაცია მის მიერ არჩეულ პროგრამაზე და წარადგინოს ბნსუ-ს მიერ დადგენილი ოდენობით სწავლის საფასურის (სრული თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) ან ბნსუ-ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურსა და დოკუმენტურად დადასტურებულ დაფინანსებას შორის არსებული სხვაობის (ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ჩარიცხვის ბრძანების გამოცემამდე სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მის მიერ არჩეული პროგრამით სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმა - აღნიშნულის შესახებ ამ ვადაში მან განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს. ამ ვადის გასვლის შემთხვევაში სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს მის მიერ არჩეული პროგრამით. შიდა მობილობის შემთხვევაში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე გადაეცემა შესაბამის ფაკულტეტს.